საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., №35
ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82
ელ. ფოსტა: warmomadgenlobiti

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №01

ქ. ბათუმი **15 მარტი, 2010 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, 34-36-ე მუხლების, რსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 56-59-ე მუხლების, რსუ-ს შინაგანაწესის მე-11 მუხლის, რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 17 თებერვლის № 14 დადგენილების საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის -- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი (დანართი1);

2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52) ;

3. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 10 ივლისის №1 გადაწყვეტილება.

4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს რსუ-ს ვებ-გვერდზე და გაზეთში ,,ბათუმის უნივერსიტეტი“;

4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **\ვ. შამილაძე**

სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი

I. ზოგადი დებულებანი

1.1. წინამდებარე წესის მიზანია უზრუნველყოს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავება ღია კონკურსის წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

1.2. კონკურსის გამოცხადება ხდება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობის განახლების ან/და წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით.

1.3. კონკურსს ნიშნავს და აცხადებს რსუ-ს აკადემიური საბჭო.

1.4. ინფორმაცია ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა შეიცავდეს კონკურსის ჩატარების თარიღსა და პირობებს. იგი უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ, საკონკურსო განაცხადებისა და საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 კვირისა. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.

1.5. ღია კონკურსის გამოცხადებისა და ასევე კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაცია, ქვეყნდება რსუ-ს ვებ-გვერდზე და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში - გაზეთში ,,ბათუმის უნივერსიტეტი“. იგი შეიძლება გამოქვეყნდეს ასევე სხვა ბეჭდვით ორგანოშიც.“

II. საპროცედურო და საკონკურსო კომისიები

2.1. გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისი კონკურსის ჩატარების მიზნით, რსუ-ს აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით, რექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო და საპროცედურო კომისიები ცალკეული ფაკულტეტების მიხედვით. კომისიების შემადგენლობის განსაზღვრისათვის რექტორი უფლებამოსილია დაავალოს შესაბამის ფაკულტეტის საბჭოს კომისიის წევრობის კანდიდატთა წარმოდგენა.

2.2. საკონკურსო კომისია იქმნება რსუ-ს სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატთა გამოვლენის მიზნით.

2.3. საკონკურსო კომისია ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე.

2.4. საპროცედურო კომისია უზრუნველყოფს კონკურსანტთა განცხადებების მიღებას. მისი შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 3 წევრის (მდივანი და თანაშემწეები) ოდენობით. საპროცედურო კომისია პასუხისმგებელია საკონკურსო განაცხადებისა და საკონკურსო კომისიაში შემოსული კორესპოდენციების (მათ შორის განცხადებების/საჩივრების) მიღებასა და რეგისტრაციაზე.

2.5. საპროცედურო კომისია რეგისტრაციაში ატარებს კონკურსში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს შესაბამის ცნობებს, ახორციელებს ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2.6. საპროცედურო კომისიის მდივანი ვალდებულია საკონკურსო კომისიის მდივანს გაუწიოს დახმარება სათანადო ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში.

2.7. საპროცედურო და საკონკურსო კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ კონკურსში მონაწილე კანდიდატები.

2.8. საპროცედურო კომისია იმუშავებს წინასწარ გამოყოფილ სამუშაო ოთახში, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება კომპიუტერით და ცეცხლგამძლე რკინის კარადით.

2.9. საკონკურსო და საპროცედურო კომისიის წევრების შრომის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ამტკიცებს წარმომადგენლობით საბჭო.

I I I. საპროცედურო კომისიების მიერ აკადემიური თანამდებობების დაკავების მსურველთა განცხადებების მიღება

3.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტების მიღებას ახორციელებს საპროცედურო კომისია;

3.2. განცხადებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მიღება ფიქსირდება სპეციალურ ზონარგაყრილ სარეგისტრაციო ჟურნალში, რომლის ყოველი გვერდი წინასწარ დანომრილი და დამოწმებულია რექტორის ხელწერითა და რსუ-ს ბეჭდით.

3.3. განცხადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე, საპროცედურო კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში აფიქსირებს, თუ რამდენი განაცხადით დასრულდა ჟურნალის წარმოება.

3.4. განცხადებების მიღების დროს დაშვებული შეცდომის შესახებ ჩანაწერი უნდა გაკეთდეს სარეგისტრაციო ჟურნალის "შენიშვნის" გრაფაში. სარეგისტრაციო ჟურნალში ჩანაწერის გადასწორება დაუშვებელია. "შენიშვნის" გრაფის შევსების შემდეგ განაცხადის მიღება უნდა გაფორმდეს ახალი სტრიქონიდან.

3.5. კონკურსში მონაწილეობის მსურველის (კონკურსანტის) განცხადება (შემდგომში საკონკურსო განცხადება) წარმოდგენილი უნდა იქნეს დადგენილი ფორმით. განცხადების, ანკეტის, სარეგისტრაციო ჟურნალისა და სხვა ფორმებს ამტკიცებს რსუ–ს აკადემიური საბჭო.

3.6. საკონკურსო განცხადებაში უნდა აღინიშნოს: კონკურსანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, შესაბამისი ფაკულტეტისა და საკონკურსო თანამდებობის დასახელება. განცხადებაში მიეთითება აგრეთვე, რომ კონკურსანტი გაეცნო რსუ-ს წესდებას, შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს და <u>რსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს.</u>

3.7. დაუშვებელია რსუ-ში ერთზე მეტ ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსანტის მიერ განცხადების შეტანა. კონკურსანტის განცხადება განიხილება მხოლოდ მასში მითითებულ აკადემიურ თანამდებობაზე.

3.8. საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაერთოს კონკურსანტის ანკეტა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება სათანადო ინფორმაცია (მათ შორის იმ სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალი, რომლებშიც კონკურსანტს შეუძლია სალექციო კურსის ან/და სხვა მეცადინეობების გაძღოლა), რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება კონკურსანტის შესაბამისობის დადგენა საკონკურსო თანამდებობის მოთხოვნებთან და შესაბამისი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამასთან (პროგრამებთან). საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაერთოს აგრეთვე წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის უტყუარობაზე პასუხისმგებელია განმცხადებელი.

3.9. დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს დედნის ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, ხოლო ყველა სხვა ინფორმაცია კი _ ისეთი სახით, რომ საკონკურსო კომისიას შეეძლოს მისი უტყუარობის (სისწორის) შემოწმება/დადგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება არ იქნება მიღებული განსახილველად ან აღნიშნული ინფორმაცია არ იქნება

მხედველობაში მიღებული საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის მონაცემების შეფასებისას.

3.10. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი არ მოითხოვს შესაბამის პუბლიკაციათა წარმოდგენას, თუ იგი (მისი ყველა გვერდი) დამოწმებული იქნება შესაბამისი დაწესებულების/ორგანიზაციის კომპეტენტური პირის ხელმოწერითა და ბეჭდით;

3.11. განცხადების მიღების შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე გაიცემა ცნობა განცხადების მიღების შესახებ, რომელშიც აღინიშნება განმცხადებლის სახელი, გვარი, ფაკულტეტისა და საძიებელი თანამდებობის დასახელება, წარმოდგენილი დოკუმენტების სრული ნუსხა ფურცლების რაოდენობის მითითებით, ასევე საბუთების მიღების თარიღი და რიგითი ნომერი.

3.12. საპროცედურო კომისიისაგან ცნობის ან სხვა რაიმე საბუთის მიღებას განმცხადებელი სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით ადასტურებს.

I V. საკონკურსო კომისია

4.1. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში უნდა მონაწილეობდეს საკონკურსო დარგის კომპეტენტური სპეციალისტები. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა უნდა განისაზღვროს არანაკლებ 3 წევრის რაოდენობით.

4.2. საკონკურსო კომისია თავის პირველ სხდომაზე ხმათა უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს;

4.3. საკონკურსო კომისია ისმენს საპროცედურო კომისიის ინფორმაციას შემოტანილი განცხადებების თაობაზე და მიღება–ჩაბარების აქტით იბარებს საპროცედურო კომისიისგან კონკურსანტების განცხადებებსა და წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

4.4. კონკურსანტის მხრიდან ყალბი მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, ან კონკურსანტის მონაცემების კონკურსის ძირითად პირობებთან არათავსებადობის შემთხვევაში კონკურსანტი მოიხსნება კონკურსიდან.

4.5. საკონკურსო კომისია შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე გამოაკრავს კონკურსში მონაწილე და კონკურსიდან მოხსნილი კონკურსანტების სიებს.

4.6. საკონკურსო კომისია აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი კანდიდატების მიერ წარმოდგენილი განცხადებებისა და დოკუმენტების შეფასების საფუძველზე, კონკურსით დადგენილ ვადებში გამოავლენს საუკეთესო მაჩვენებლების მქონე კონკურსანტებს და შეადგენს შემაჯამებელ ოქმს, რომელიც ასევე რსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილ ვადებში, განთავსდება შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და ვებ-გვერდზე.

4.7. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ორგანიზება და ჩატარება;
ბ) აირჩიოს რსუ-ს აკადემიური პერსონალი;
გ) მიიღოს ყველა გადაწყვეტილება კონკურსის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, თუ ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
დ) მოხსნას კონკურსანტი კონკურსიდან;
ე) განიხილოს საპროცედურო დარღვევებთან დაკავშირებული განცხადებები/საჩივრები;
ვ) ნაწილობრივ ან მთლიანად გააუქმოს ან შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილებები;
თ) მიიღოს გადაწყვეტილება ამ წესით გათვალისწინებულ მის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებზე.

ი) არ განიხილოს განცხადება/საჩივარი, თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი.
4.8. საკონკურსო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით.
4.9. საკონკურსო კომისიას ეკისრება ვალდებულება კონკურსის ამ დებულებით დადგენილი წესით ჩატარებაზე.
4.10. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს შესაბამის ოქმებს და ახორციელებს ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
4.11. საკონკურსო კომისიის სხდომებს ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ხელმძღვანელობდეს კომისიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც აირჩევა იმავე სხდომაზე.
4.12. საკონკურსო კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის საქმისწარმოებას, ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს (მათ შორის კონკურსის შედეგების შემაჯამებელ ოქმს),
4.13. საკონკურსო კომისიის სხდომის მოწვევის უფლება აქვს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ან მისი წევრების არა ნაკლებ 1/3-ს.
4.14. საკონკურსო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3 მაინც.
4.15. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრის წესით, კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმის (ოქმების) სახით.
4.16. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
4.17. კონკურსის ჩატარების დღეს საკონკურსო კომისია განიხილავს კონკრეტულ საკონკურსო თანამდებობაზე არსებულ ვაკანსიებზე კონკურსში მონაწილე თითოეული კონკურსანტის მონაცემებს, ღია კენჭისყრით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ამასთან, საკონკურსო კომისიის ყოველ წევრს უფლება აქვს კონკრეტულ საკონკურსო თანამდებობაზე ხმა მისცეს არაუმეტეს იმდენ კონკურსანტს, რამდენი საკონკურსო ადგილიცაა მოცემულ თანამდებობაზე. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები ფიქსირდება შესაბამის ოქმში (ოქმებში).
4.18. კონკურსში გამარჯვებულად (აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულად) ჩაითვლება კონკურსანტი, რომელსაც ხმას მისცემს საკონკურსო კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
4.19. მას შემდეგ, რაც კონკურსი ჩატარდება ყველა საკონკურსო თანამდებობაზე, საკონკურსო კომისიის მიერ ივსება და ღია კენჭისყრით მტკიცდება შემაჯამებელი ოქმ(ებ)ი, რომლებშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:
ა) საკონკურსო კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის სახელები და გვარები;
ბ) კენჭისყრაზე გამოცხადებულ საკონკურსო კომისიის წევრთა სახელები და გვარები;
გ) თითოეული კონკურსანტის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
დ) კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადებულ კონკურსანტთა სახელები და გვარები;
ე) შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების თარიღი.
4.20. საკონკურსო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა რსუ-ს არქივს.

V. საკონკურსო პირობები

5.1. კონკურსის ძირითადი პირობები:

ა) სრულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
ბ) ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-

პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
გ) ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი.

5.2.კონკურსში მონაწილეობის მსურველმა შესაბამის საკონკურსო კომისიაში უნდა წარადგინოს:

ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები გაიცემა საპროცედურო კომისიის მიერ), აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ.

ბ) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);
გ) 2ც ფოტოსურათი, 3X4.

5.3. სრული და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს:

ა) დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კონცეფცია სწავლების სამივე დონეზე;

ბ) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წაკითხული სალექციო კურსების ჩამონათვალი - ძირითადი კურსის სილაბუსით;

გ) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომი;

5.4. ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს:

ა) სამოტივაციო წერილი.

5.5. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის გამოსავლენად გაითვალისწინება აგრეთვე:

ა) პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო/ სარეზიდენტო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, სალექციო კურსების, მოდულების

ხელმძღვანელობა, მონაწილეობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ბ) თანამედროვე სასწავლო პროგრამების ჩამოყალიბება და განვითარება: ელექტრონული სალექციო კურსების მომზადება და დანერგვა; კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მომზადება და დანერგვა; კვალიფიკაციის ასამაღლებელი სპეციალური ტრენინგების გავლა; საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება (კურიკულუმის კომიტეტის წევრობა) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

გ) სასწავლო პროცესისა და კვლევისათვის სახსრების მოძიების გამოცდილება (სასწავლო და სამეცნიერო გრანტები და საერთაშორისო პროგრამები) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

დ) ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა და დაცული დისერტაციების ხელმძღვანელობა, კონსულტანტობა;

ე) დისერტაციის ოპონირება (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ვ) კონკურსანტის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული წიგნები (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, საცნობარო ლიტერატურა) და სამეცნიერო პუბლიკაციები;

ზ) წიგნების (კრებულების/ჟურნალების) რედაქტორობა, რეცენზენტობა და რედკოლეგიის წევრობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

თ) პატენტი (საავტორო მოწმობა) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ი) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო კონფერენციების (სიმპოზიუმები/კონგრესები/სესიები) ორგანიზება/მონაწილეობა;

კ) საკონკურსო მიმართულების შესაბამისი პედაგოგიური და სამეცნიერო–კვლევითი კომპეტენციების დამადასტურებელი სხვა აქტივობები (ბოლო 5 წლის განმავლობაში).

5.6. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევად გათვალისწინებული იქნება აგრეთვე პირის პროფესიული კვალიფიკაცია და უნარ – ჩვევები, მისი კომპეტენციისა და პიროვნულობის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან.

5.7. აკადემიური თანამდებობის პირი სტომატოლოგიურ მიმართულებაზე აირჩევა 5 წლის, მედიცინის მიმართულებაზე 6 წლის, ხოლო სხვა დანარჩენ მიმართულებებზე 4 წლის ვადით;

5.8. კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტებთან შრომითი ხელშეკრულება ფორმდება **დანართი 2-ის** შესაბამისად.

თავი VI. კონკურსის შედეგების გამოქვეყნება და აკადემიური პერსონალის ახლად არჩეული წევრის უფლებამოსილების ცნობა

6.1. საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს აქვეყნებს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილ ვადებში.

6.2. აკადემიური პერსონალის ახლადარჩეული წევრის უფლებამოსილება ძალაშია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.

თავი VII. კონკურსის პროცედურისა და შედეგების გასაჩივრების წესი

7.1. საკონკურსო კომისიის მიერ ამ დებულებით დადგენილი წესის დარღვევასთან დაკავშირებით კონკურსში მონაწილე კონკურსანტს უფლება აქვს დარღვევიდან 3 დღის განმავლობაში შეიტანოს განცხადება/საჩივარი შესაბამის საპროცედურო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.

7.2. განცხადება/საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) შესაბამისი საკონკურსო კომისიის დასახელება;

ბ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;

გ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სტატუსი.

დ) დარღვევის შინაარსი;

ე) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას);

ვ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;

ზ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა, თარიღი და დრო.

7.3. განცხადებას/საჩივარს თან უნდა ერთვოდეს დარღვევის ოქმის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

7.4. საპროცედურო კომისია უზრუნველყოფს განცხადების/საჩივრის რეგისტრაციას და საკონკურსო კომისიისათვის დროულ მიწოდებას. განმცხადებელს გადაეცემა ცნობა, რომელშიც აღინიშნება განცხადების/საჩივრის კომისიაში მიღების თარიღი და დრო. ფაკულტეტის საკონკურსო კომისია ვალდებულია განცხადების/საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს განცხადება/საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება მისი დაკმაყოფილების, დაკმაყოფილებაზე უარის ან მისი განუხილველად დატოვების შესახებ.

7.5. განცხადების/საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას საკონკურსო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ ამ დებულებით დადგენილი წესის დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია ან შეიძლება იქონიოს კონკურსის შედეგზე.
7.6. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VIII. განმეორებითი კონკურსის ჩატარების წესი

8.1. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში რომელიმე საკონკურსო თანამდებობაზე არ მონაწილეობდა არც ერთი კონკურსანტი ან კონკურსის ჩატარების შედეგად არ შეივსო შესაბამისი ვაკანსიები, დარჩენილ ვაკანსიებზე აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ინიშნება განმეორებითი (ხელახალი) კონკურსი.

დანართი 2
„დამტკიცებულია“
რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის
---- თებერვლის №--- დადგენილებით

შრომითი ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი ***------- ---------- 2010 წ.***

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35), წარმოდგენილი მისი რექტორის, პროფესორ ალიოშა ბაკურიძის სახით (შემდეგში - „დამსაქმებელი“) და მოქალაქე ---------- (პირადობის მოწმობის № ----------, პირადი ნომერი ---------- ---------- T ----------(შემდეგში „დასაქმებული“), დებს წინამდებარე შრომით ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი1. ხელშეკრულების საგანი.

მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში დასაქმებული ახორციელებს აკადემიურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ---------- ***პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე*** *შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ---------- ფაკულტეტის ერთ საშტატო ერთეულზე.*

მუხლი 2. დამსაქმებლის უფლება-მოვალეობანი

2.1. დამსაქმებულს უფლება აქვს:

2.1.1. მოსთხოვოს დასაქმებულს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, რსუ-ს წესდების, შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა შესრულება;

2.1.2. დააზუსტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოებები, რამაც არსებითად არ უნდა შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

2.1.3. კანონით გათვალისწინებულ შეთხვევებში დაავალდებულოს დასაქმებული, რათა მან შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო;

2.1.4. დასაქმებული ძირითადი სამუშაო ადგილიდან მიავლინოს სხვაგან სამუშაოს შესასრულებლად;

2.1.5. კანონმდებლობის ფარგლებში წაახალისოს დასაქმებული ან პირიქით, რსუ-ს აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში გაატაროს მის მიმართ ადმინისტრაციული ზომები, მათ შორის დაუქვითოს არასაპატიო მიზეზით გაცდენილი საათების ღირებულება;

2.2. დამსაქმებელი ვალდებულია:

2.2.1. შეუქმნას დასაქმებულს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი პირობები;

2.2.2. რსუ-ს აქტებითა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის ანაზღაურება;

2.2.3. ხელი შეუწყოს დასაქმებულის ჩართვას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში;

2.2.4. უზრუნველყოს დასაქმებული ანაზღაურებადი შვებულებით საქართველოს შრომის კანონმდებლობითა და რსუ-ს შინაგანაწესით განსაზღვრულ შემთხვევებში.

მუხლი 3. დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები:

3.1. დასაქმებულს უფლება აქვს:

3.1.1. სამუშაოს შესასრულებლად მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა;

3.1.2. მოითხოვოს და მიიღოს რსუ-ს აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება;

3.1.3. ისარგებლოს დასვენებისა და უქმე დღეებით, აგრეთვე წინამდებარე ხელშეკრულებით, რსუ-ს წესდებითა და შინაგანაწესით, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყოველწლიური ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებებით;

3.2. დასაქმებული აღიარებს რა, რომ გაცნობილია რსუ-ს წესდებას, შინაგანაწესსა და ეთიკის კოდექსს, ვალდებულია:

3.2.1. შეასრულოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს შრომის კანონმდებლობით, რსუ-ს მართვის ორგანოთა აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, დაიცვას რსუ-ს პრესტიჟი და ეთიკის ნორმები;

3.2.2. ხელშეკრულების ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს ძირითად სასწავლო პროცესში. შეავსოს ,,სტუდენტის (მსმენელის) დასწრების აღრიცხვისა და შეფასების ჟურნალი“ და შეფასების უწყისი“, რსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი ფორმების შესაბამისად;

3.2.3. თავისი კომპეტენციის ფარგლებში იზრუნოს საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო და სალექციო კურსის, მოდულის შემდგომ სრულყოფა-გაუმჯობესებაზე და სასწავლო პროცესში გამოიყენოს რსუ-ში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიები.

3.2.4. აწარმოოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;

3.2.5. მონაწილეობა მიიღოს საუნივერსიტეტო ცხოვრებასა და მართვაში;

3.2.6. მონაწილეობა მიიღოს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასა და მართვაში;

3.2.7. შეასრულოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის ნორმატივებით განსაზღვრული სამუშაო; დაეთანხმოს დამსაქმებლის გადაწყვეტილებებს დადგენილი საათობრივი დატვირთვის და შესაბამისად, შრომის საზღაურის ოდენობის ცვლილების შესახებ, თუ ასეთი გამოწვეულია დამსაქმებლის სტრუქტურული რეორგანიზაციით, სასწავლო პროცესის, სტუდენტთა კონტიგენტის ცვლილებით, ან/და სხვა ობიექტური გარემოებებით.

3.2.8. გაუფრთხილდეს დამსაქმებლის მიერ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად საჭირო მატერიალურ ფასეულობებს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე უზრუნველყოს მისი დაბრუნება უფლებამოსილი პირისათვის რსუ-ში მოქმედი წესის შესაბამისად.

მუხლი 4. შრომის ანაზღაურება

4.1. დამსაქმებელი დასაქმებულს შრომის საზღაურის სახით უხდის წლიური დატვირთვის -------- საათის შესაბამის ხელფასს, ყოველთვიურად ---------- ლარის ოდენობით. ხელშეკრულების 3.2.7. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, წლიური საათობრივი დატვირთვის ცვლილებისას, დამსაქმებლის ბრძანების საფუძველზე, შესაძლებელია ცალმხრივად მოხდეს ყოველთვიური ხელფასის ცვლილება ამავე მუხლში მოყვანილი პროპორციის შესაბამისად, რაც არ საჭიროებს ცვლილებას წინამდებარე ხელშეკრულებაში.

4.2. დასაქმებულისათვის ხელფასზე დანამატის, პრემიის ან სხვა სახის ფულადი ანაზღაურების პირობები განისაზღვრება რსუ-ს აქტებით;

მუხლი 5. ხელშეკრულების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

5.1.. ხელშეკრულება ძალაშია ----------დან და ძალაშია ------ წლის ---------- ---------- მდე;
5.2. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) სილაბუსის შინაარსიდან არსებითი გადახვევა;
გ) სამეცნიერო ნაშრომის ან სტუდენტის ცოდნის არაობიექტური შეფასება;
დ) პროტექციის გზით სტუდენტის შეფასების შედეგებზე ზემოქმედება;
ე) სტუდენტთა საფაკულტეტო მიღების პირობებში არამოთხოვნადი სპეციალობის დახურვა.
ვ) გამორჩენის მიზნით სტუდენტისათვის დამატებითი მომსახურების გაწევა;
ზ). სასამართლოს მიერ მისი შეზღუდულქმედუუნაროდ ან ქმედუუნაროდ ცნობა;
თ) წინამდებარე ხელშეკრულების 3.2. მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის მოთხოვნების შეუსრულებლობა;
ი) ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, რსუ-ს წესდებით, შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 6. დავების გადაწყვეტა:

6.1. მხარეთა შორის სადაო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს წესით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება დამსაქმებელთან, ხოლო მეორე - დასაქმებულთან.
7.2. ხელმოწერებით მხარეები ადასტურებენ თანხმობას წინამდებარე ხელშეკრულების შინაარსზე.

მხარეთა ხელმოწერები

„დამსაქმებელი“	*„დასაქმებული“*
რექტორი, პროფესორი:	----------